1/3 იწლი მე-2 ტელეფონი № 76. პარასკევი, 25 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთ. ს ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადებისათვის: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ. ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხ. დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადებებს დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 493 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 493

შვილები გიორგი, ალექსანდრე, ოლღა, ანნა და ნინა პავლეს ძენი და ასულნი, რძლები ელისაბედ და ალექსანდრა ივანეს ასულნი ნაკიტინისანი სიძე პოლიკარპე ალექსის ძე ახვლედიანი, შვილიშვილები ბარბალე, ალექსანდრა, თამარა, ნინა და ელენა გიორგის ასულნი, სერგო, ქსენია, ელენა, ალექსანდრეს ძე და ასულნი ნიკიტინები და კონსტანტინე პოლიკარპეს ძე ახვლედიანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ პირველნი დაუვიწყარი დედის, მეორენი დედამთილისა მესამე ძვირფასი სიდედრისა მეოთხენი, და მეხუთენი საყვარელი ბებიისა

**თეკლე დიმიტრის ასულის ნიკიტინის**

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა ხუთშაბათს, 24 ნოემბერს. განსვენება მოხდება კვირას, 27 ნოემბერს, დილის 9 საათზე, საკუთარი სახლიდან (ინჟინერის ქ). ლაზარეთის ეკლესიაზე, საიდანაც წირვის შემდეგ გაასვენებენ დასაკრძალავათ ოლასკურის სასაფლაოზე. პანაშვიდები იქნება ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

## ომში დაუძლურებულთა სასარგებლოდ.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 22.

შაბათი, 26 ნოემბერი 1916 წ.

## მორევში

დრ. 3 მოქმ. ჭანტურიშვილისა

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელი **გრ. გველესიანი** იტყვის შესავალ სიტყვას ომის მნიშვნელობის და ომში დაუძლურებულთა დახმარების შესახებ.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი მომატებულია

მორიგი წევრი გამგეობისა ბ. უზნაძე

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება**

მთელი შემოსავალი ყველა ხარჯების გამორიცხვით გადაეცემა ქუთაისის გუბერნატორს წმ. გიორგის კავალერების და მათი ოჯახების დამხმარე ფონდში გადასაგზავნათ.

**ქუთაისში დროებით**

**ჩამოვიდა** თიხნარ ნიადაგის გამომკვლევი სპეციალისტი, აგრეთვე საგანგებოდ განსწავლული აგურისა და კრამიტის გამოწვა-გაკეთების საქმეში. ზედმიწევნით იცის აგრეთვე ყოველგვარ აგურხანების მოწყობის საქმეც **მისამართი:** ქუთაისი, სასტუმრო „ფრანცია" № 10.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 5 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** ი. **ჩარიძოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საიფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო"-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს, და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევს 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაყარიძისა.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი. 10—4 დღ. გამ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

8-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ბებია** მ. მ. **ქიქოძე** ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 23.

კვირა, 27 ნოემბერი 1916 წ.

ბარრი:

## ნაპოლეონ და ჟოზეფინა

4 მოქმ. თარგმ. ა. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გ.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 24 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

## ჯავშნიანი მატარებელი

სამხედრო, ნამდვილიდან

1 სერია

**მშობლიურ ვოლგას დაყოლებით**

(წუთიერ ნეტარებისათვის)

დრამა 4 ნაწ. კანოვისა, ნიკოლსკისა, რიმსკისა და ჩაროვის მონაწ.

**უხეირო მდგომარეობა** სახუმარო

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან 25 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

## ჯავშნიანი მატარებელი

სამხედრო, ნამდვილიდან

## ცოდვის გამოსყიდვა

კინო დრამა 4 ნაწილად გორიჩევის მონაწ.

**კოპროტიშკინი—მამაცი პოლიციელი**

სახუმარო

ქ. თფილისში დაარსდა

## მელნის ქარხანა „ალაროდია"

**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი ასლის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.

**მისამართი:** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".

## მიხეილის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ თანახმად შეერთებული კრებისა ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის გადაწყვეტილებისა 20 ამა ნოემბერს, დანიშნული 5 დეკემბერს ამა წლისა ვაჭრობა უძრავის ქონებისა, რომელიც ეკუთვნოდა

**თ-დ კონსტანტინე ერისთავს,**

და გამოცხადებული იყო, გაუქმებულია და არ შესდგება.

თავმჯდომარე გამგეობისა მგ. **ალ. ლორთქიფანიძე.**

დირექტორი **ი. ფანცხავა.**

მდივანი **პ. ლორთქიფანიძე.**

## მსოფლიო ომი.

**დეპეშები**

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან. 23 ნოემბერი.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზე. ტყიან კარპატებში, ვორონეცკის მაღლობის სამხრეთით 4 ვერსზე მოპირდაპირემ შემოგვიტია. ნაშუადღევის 1 საათამდე მოპირდაპირის ყველა იერიშები მოვიგერიეთ, მაგრამ მეორემ მოპირდაპირემ მძიმე ზარბაზნებით დაგვინგრია სანგრები და ჩვენი ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია თავის მთავარ სადგომისაკენ. კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

მოლდავიის საზღვრებზე მდ. ტროტუშის ველსა და მდ. დოფტანის ველის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. ჩვენ კიდევ ავიღეთ რამდენიმე მაღლობი, თუმცა მოპირდაპირე მედგარს წინააღმდეგობას გვიწევს და სცდილობს თავისი წინანდელი მდგომარეობა აღადგინოს. ვალახეთში, ტორგოვისტიდან პლოეშტისაკენ, ტიტიდან ბუქარესტისაკენ და ბუქარესტიდან დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზებზე ბრძოლა გრძელდება. მოპირდაპირე გაცილებით უფრო ძლიერის ჯარით აწვება რუმინელებს, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ იხევენ. რუმინელებმა სცადეს პლოეშტისა და ბუქარესტისაკენ მიმავალ მოპირდაპირის შეჩერება, მაგრამ ვერაფერს გახდა.

**დობრუჯში.** მდგომარეობა არ შეცვლილა.

**შავი ზღვა.** ჩვენი ჰიდრო აეროპლანები თავს დაესხნენ სოფ. ყარამურადს, კონსტანცის ჩრდილოეთით, ყუმბარები დაუშინეს და უვნებლად დაბრუნდნენ უკანვე.

**ოდესა.** სანდო. წყაროებიდან იტყობინებიან: რუმინელების აღმოსავლეთისაკენ დახევა მეტად ხელშემწყობ პირობებში მოხდაო.

**ლონდონი** საღამოს ოფიც. ცნობა, საფრანგეთის ასპარეზზე ზარბაზნის სროლა იყო ლემეს მახლობლად. ნევილ-სენვაასტის მიდამოებში ხელის ყუმბარებით იბრძოდნენ

**პარიზი** საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით, ვო დუომონის მიდამოებში ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით

**ლონდონი.** დღის ოფიც ცნობა. საფრანგეთის ასპარე ზმტერმა ზარბაზნები დაუშინა გიდეკურის და ფუკვილერის მიდამოებს. ჩვენ ზარბაზნებს უშენდით მონშს.

**პარიზი.** „პტი პარიზიენ"-ში მოთავსებულია ოფიციალი საბუთის ქაღალდები, საიდანაც ნათლად ირკვევა სკუდულისის სამინისტროს ორმაგი პოლიტიკა. ამ საბუთებში საბერძნეთის ჯარს ნაბრძანები აქვს ბულგარეთის გადმოსვლას საბერძნეთის მიწა-წყალზე ხელი შეუწყონ, ადგილები დაუთმონ და ყოველის ღონის ძიებით შეაფერხონ ფრანგთა ჯარის მოძრაობა რუპელისაკენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

გაზ. „რეჩი" სწერს თანამედროვე ომის განმავლობაში ერთი რამის აღნიშვნაა საჭირო; საადრომოდ რუსის ჯარი მარსელში გაჩნდა და მას აქეთ ვერდენის ბრძოლები მოკავშირეთა სასარგებლოდ სწარმოებდა სალონიკში რუსის ჯარის მისვლა და გენ. სარაილის ჯარის შეტევა თითქმის ერთად მოხდა, ეხლა როდესაც გერმანელთა მრავალრიცხოვანი ჯარი რუმინელებს შეესია და მძიმე ზარბაზნებით

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი. ტყიან კარპატებში ვოლნეუკის სამხრეთით ავსტრიელებმა დილით მძლავრი შეტევა დაიწყეს, სალამოთი მძიმე ზარბაზნები აამოქმედეს რუსების სანგრები დაანგრიეს და რუსებს უკან დაახევინეს.**

**დასავლეთის ასპარეზი. სომააზე და ვერდენთან დოუმონ-ვოს მიდამოებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.**

**რუმინიის ასპარეზი. მოლდავიის საზღვრებზე მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ბუქარესტის გარეშემო, სამი მხრიდან გერმანელ-ავსტრიელ-ბულგარლები მძლავრად უტევენ. მათი ჯარი აქ ძალიან ძლიერი ყოფილა. ბუქარესტის აღმოსავლეთითაც ბრძოლები სწარმოებს. როგორც ეტყობა რუმინელებს ბუქარესტის დაცვაზე ხელი აუღიათ. დობრუჯაში მდგომარეობა უცვლელია.**

---

ბუქარესტს ემუქრებიან ჩვენი ჯარი რუმინიის დასახმარებლად მიაშურებს".

— პარიზიდან მოსულ ცნობების მიხედვით, ბუქარესტში სიწყნარეა. ქუჩებში გერმანელთა მძიმე ზარბაზნების გრიალი ისმის.

— წინანდელ პრემიერსა და ყოფილ გერმანოფილ, მარგილომანს უთქვამს: „რაც უნდა მოხდეს რუმინეთმა ბოლომდის უნდა განაგრძოს ბრძოლა: მდგომარეობა მეტის მეტად სახიფათოა; ჯარსა და მთავრობას ამ ხანში მხნე ხალხი ესაჭიროებათ".

— „ბერლინსკი ტიდენდეს" პარიზელი კორესპონდენტი ატყობინებს: „მთელი პარიზის ყურადღება რუმინიის მდგომარეობას აქვს მიქცეული. რუმინიის ამბების განხილვა არ შეიძლება; პარიზში დაწვრილებით იციან რუმინიის ამბები და დიდადაც არიან დამწუხრებულნი, მაგრამ ყველას იმედი აქვს, რომ რუსეთი დიდ დახმარებას გაუწევს რუმინეთს".

— უკრაინასა და ბესარაბიას აუარებელი ლტოლვილი რუმინელნი მოაწყდნენ: მოდიან, როგორც კი შეუძლიათ მატარებლით, ურმით, ფეხით და გემებით. ლტოლვილთა მდგომარეობა აუტანელია.

— ომის დაწყებიდან გერმანიაში 29,287 სამხედრო ტყვე მომკვდარა სხვადასხვა ავათმყოფობისაგან. ამათში 6,032 ქლექიანი ყოფილა.

## სამხედრო მიმოხილვა

ჩვენ წინა დღეებში ის აზრი გამოვსთქვით, რომ ბუქარესტის ციხეს დიდი ფასი არა აქვს.

გუშინდელი დეპეშები სავსებით გვარწმუნებენ ამას.

როგორც მოსალოდნელი აყო, ბუქარესტის სიმაგრეთა ხასიათი, რომელიც ამ ომის განმავლობაში სუსტი და დაძველებული აღმოჩნდა ვერ გამოდგა სასარგებლო.

თანამედროვე ძლიერმა არტილერიამ ბეტონის და ფოლადის სიმაგრეები სრულიად დასთურგნა უპირატესობა ამ ომმა მცირე სახელდახელო საველე სიმაგრეებს მიაკუთვნა.

მაშინ როდესაც ვერდენის ძლიერმა ფორტებმა ვერ გაუძლეს გერმანელთა მძიმე არტილერიის ცეცხლს ამ ციხის გარშემო აგებულ მრავალ საველე სიმაგრეებმა დიდი სამსახური გაუწიეს ფრანგებსა.

ასევე იყო დარდანელში.

დარდანელის რამდენიმე მტკიცე ფორტები ინგლისელთა ფლოტმა მიწასთან გაასწორა, მაგრამ საველე სიმაგრეთა შემწეობით სრულე შეინარჩუნეს.

რუმინელებმა კი ბუქარესტის გარშემო ვერ მოაწყეს საველე სიმაგრეების აგება და არც მომავალში ჰქონდათ ამის იმედი მით უმეტეს, რომ საერთო სტრატეგიული მდგომარეობა, მათთვის მძიმე იყო.

ამან აიძულა რუმინელები აელო ხელი ბუქარესტის დაცვაზე.

მგერელი.

## მეტი გამბედაობა.

ჩვენა გვაქვს სხვათა შორის ერთი ხალხური ზღაპარი, რომლის გმირსაც, ერთ ლამაზ მეფისწულს, დედინაცვლის მიერ მოჯადოებულს, გზა აბნევია, მთელ თავის სიცოცხლეში ის ეძებს თავის სახლს, სადაც მას სატრფო ეგულება და ვერ უპოვია იგი.

როდესაც კი ჯადოსაგან თავს გაინთავისუფლებს გაიგებს, რომ მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში მას საკუთარ სახლის გარშემო უვლია და გზა კი ვერ გაუკვლევია.

როდესაც ჩვენი, ქართველების ბედ უკუღმართს ცხოვრებას გადავავლებ ხოლმე თვალს მუდამ იმ ზღაპრის მეფისწული მომაგონდება ხოლმე.

ერთ საუკუნეზე მეტია ჩვენ ბედს დავსტირით, ყველასაგან ჩვენი თავის აბუჩად აგდებას ვჩივით, ვსტირით, ვყვირით, ვბოქრობთ, უკმაყოფილებას ვაცხადებთ, ვწუხვართ, უკეთეს მდგომარეობის შექმნას ვაპირებთ.

მაგრამ, იმ მოჯადოებულ მეფისწულისა არ იყოს, დღემდე ჭეშმარიტ კვალისათვის. ვერ მიგვიგნია.

ზოგი ჩვენთაგანი ჩვენ ხსნას სოციოლოგიურ დოქტრინების ალსარებაში ჰხედავს, ზოგი ფედერატიულ წესწყობილებაში, ზოგი კლასიკურ განათლების გავრცელებაში ქართველთა შორის, ზოგი ვაჭრობა მრეწველობის განვითარებაში, და სხვა...

საეროვნო საქმე კი?..

კრილოვის ურმის ამბავისა არ იყოს, დღესაც გაყინვის წერტილს ვერ გასცილებია.

დღეს, ჩვენ თვითონ არ გვესმის ნამდვილად რა გვინდა, რა გზას უნდა დავადგეთ.

ჩვენ შორის არ არის მთლიანი შეგნება ჩვენი მდგომარეობისა და არა გვაქვს შემუშავებული საერთო პროგრამა, რომლის განხორციელებაც სწორედ უნდა შეეფერებოდეს ჩვენს უკეთესი მომავლის წადილსა,

არის ყოველ დღიური საკითხები, რომლის გადასაწყვეტად ერთსულოვნად უნდა გამოვიდეთ წინასწარ მომზადებულნი.

არა გვაქვს ბრძოლის მეთოდები შეთვისებული.

წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის რეაქციონურ და „ინოროდცებზე" მუდამ კბილებ დალესილ ბიუროკრატიამ, ომის არა ჩვეულებრივ პირობების გამოისობით, წყალობის თვალებით გადმოგვხედა და შესაძლებლად ჩასთვალა მან ჩვენი ეროვნული წყლულების განკურნვა და ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება, რაც არც ისე გასაკვირველი და შეუძლებელია.

ჩვენ რა უნდა მოვითხოვოთ?

ღრმად დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ მაშინვე დავიბნევით და ერთი ჩვენგანი რომ ალთას წავა, მეორე ბალთისკენ გასწევს.

რომ ეს, ჩვენთვის მართლაც და თავზარ დამცემი და სამარცხვინო ამბავი არ მოხდეს საჭიროა დაარსდეს რაიმე ოფიციალური ორგანო ბიუროს სახით; ამ დაწესებულებამ უნდა წამოუყენოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

მან უნდა შეიმუშაოს მასალები და მიაწოდოს იმ პირთ, რომელნიც საკანონმდებლო დაწესებულებებში იმყოფებიან, ვის სიტყვასაც მმართველ წრეებში ფასი აქვს და რუსულ პრესის იმ მუშაკთ, რომელთაც ჩვენთვის გული შესტკივათ და ჩვენი საჭიროებათა დაკმაყოფილება სურთ საქადაქებლად.

ამ აზრში არაფერი საშიშია, სათუო და, მით უმეტეს, შეუძლებელი არ არის.

დღეს, როდესაც სახ. სათათბიროში და საბჭოში ორორი წარმომადგენელი გვყავს, როდესაც მთავრობა ასე თუ ისე ომის პირობების გამო მეტის გულის ყურით ეპყრობა უფრო ხალხის გულის თქმას და, როდესაც ჩვენმა შვილებმა და ძმებმა ბრძოლის ველი უხვად მორწყეს სისხლით, არაფერი შეუძლებელი არ უნდა იყოს იმაში, რომ ჩვენი მცირე [illegible] თვით სახელმწიფოსათვის სასარგებლო [illegible] ლონის ძიებანი მო[illegible].

კატონ კობახიძე.

## თ-დ სიმონ გუგუნავას დაუბეჭდავი ლექსი

უძღვნი ლეჩხუმის მაზრის დიდებულთ მკვიდრთა განურჩევლად წოდებისა.

ექვსი წელია დავტოვე ჩემი აღმზრდელი გურია,
ბედმან მარგუნა ლეჩხუმშიდ შევამდგომლად სამსახურია;
აქ მოვიპოვე მკვიდრთაგან მე სიყვარული ძმურია;
მსურს გამოვხატო კალმითა რისიც თქმა დიდათ მწყურია. —

გარემოებას ზნეობით ვერ შეუცვლია ხალხია,
აქ ბრუნავს ძველის ქართველის პატიოსნების ჩარხია,
რომელიც სხვა კუთხეებშიდ დროთ ვითარებამ დახია;
ის დიდებული სიწმინდე აქვს მტკიცედ შენახია.

წოდების განურჩევლად ხალხი ძველთაგან ქებული,
მტრისა დამცემი რისხვისა მოყვსისთვის თავდადებული,
ბრძოლაშიდ შეუპოვარი მარად ჟამ გამარჯვებული,
სამშობლოს სადიდებლად საკვტავად გამზადებული.

სარწმუნოების ერთგულნი სჯულისა არა მგმობელნი,
წირვა-ლოცვაზედ გალობით ღვთაების შემამკობელნი,
მისს სადიდებლად მარადის მლალადებელნი, მხმობელნი,
პატიოსნების მუშაკნი უღალავ დაუშრომელნი.

საერთოდ სტუმართ მოყვარე, პურ-ღვინო დაულიერნი,
მოყვასთა დამფასებელნი მტრებზედ კი მუდმივ ძლიერნი,
ხშირად უცნობი სტუმრებიც საზრდოობს მათგან მშიერნი,
ყველა საგნებშიდ ძველთაგან ქებულნი არა ცბიერნი.

რაც ვცადე ჩემს ცხოვრებაშიდ მეტს ველარ გამოვიცდები,
არ შემიძლიან დაფარვა, რასაც ვგრძნობ, რასაც მივხვდები,
მემახსოვნება ლეჩხუმში სანამდის არ დავმიწდები,
თუ ღირსი ვიყო ხსოვნისა ნურც იმათ დავავიწყდები.

მოკლე შაირით რაცა ვსთქვი, ეს ყველასათვის ცხადია,
თქვენც უწყით მე რუსთველობა აროდეს დამიქადია,
აწ თქვენდა მადიდებლად ხელთა მიპყრია ბადია,
ღმერთმან ის მოგცესთ ძმანებო რაც ჩემთვის გულით მწადია.

სიკვდილამდის თქვენი ერთგული თანა მოძმე **თავადი სვიმონ გუგუნავა.**

## რუსეთის წარსულიდან.

მ. ო. ვოლფის წიგნთ გამომცემლობამ პეტროგრადში ახლახან გამოსცა დიდი ტომი „მოგონებათა", რომელიც მის წიგნთ გამოცემას და წიგნთ გასაღებას ეხება.

ამ „მოგონებათა" შორის ზოგი ამბავი ძრიელ საინტერესოა და საზოგადოების ყურადღებას იპყრობს მაგალითად: გასული საუკუნის 70 წლებში მის დიდ წიგნის მაღაზიის უკან პატარა ოთახი ყოფილა მოდგმული, რომელშიდაც მ. ო. ვოლფს კაბინეთი ჰქონია მოწყობილი. ამ ოთახში მაღაზიიდან შესასვლელი კარი მუშაბანდიანი ყოფილა. ვოლფის მაღაზიაში ყოველთვის დიდძალი მყიდველი გროვდებოდა, ბევრი მუშტარი ყავდათ, მათ შორის მწერლებიც. იმ პირთ, რომელნიც ლიტერატურასთან ახლო კავშირი, ან რაიმე დაახლოება ჰქონიათ, სულ სხვა მიღება დაფასება ჰქონდათ ვოლფის წინაშე. მათგან ვოლფს ჯერ პირადი ნივთიერი სარგებლობა ჰქონდა და შემდეგ თვით იგი ლიტერატურის თაყვანისცემლად ითვლებოდა. როდესაც სახელოვანი მწერლები მაღაზიაში შეიკრიფებოდენ, ისინი მაშინვე ხსენებულ პატარა ოთახში მაგიდას მოუჯდებოდენ და რომელიმე ლიტერატურულ მჭნილებაზე ბაას გამართავდენ თანდათან ამ პატარა ოთახს სტუმრები ემატებოდენ, რომელნიც ლიტერატურულ და პოლიტიკურ თემებს ეხებოდენ. შემდეგ ასეთმა კრებებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო და პეტროგრადის საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა.

ხშირად მოხდებოდა კრება მუსაიფში და აზრთა ცვლაში ღამის 1-ს საათამდი რჩებოდა და სახლში წასვლას მაშინ იფიქრებდენ, როდესაც საინტერესო ლაპარაკიდან გამოერკვეოდენ.

ერთ ასეთ დროს, ღამით, ვოლფის მაღაზიასთან ეტლი გაჩერდა და მაღაზიაში სასტიკი პეტროგრადის ქალაქის უფროსი ტრეპოვი შევიდა. მან უცებ მაღაზია მიათვალიერა, მოათვალიერა და კაბინეთს თავის სტუმრებით ყურება დაუწყო.

— მავრიკო ოსეფიჩ?!—წამოიძახა ტრეპოვმა,—თქვენ აქ თითქმის კლუბი მოგითავსებიათ. შემდეგ რაღაც წიგნი იყიდა და გავიდა.

ამ დღიდან ვოლფის მაღაზიას კაბინეთს „თითქმის კლუბი" დაერქვა.

1878 წელს, ზამთარში, ვოლფი ცნობილ „მესამე განყოფილებაში" დაიბარეს.

მას ჟანდარმთა შეფი გენერალ ბეზენცევი დახვდა და ჰკითხა:

— თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, გთხოვ მითხრათ თქვენ მაღაზიასთან რაღაც კლუბის გახსნის შესახებ. ვინ დაარსა ეს კლუბი?

— ქალაქის უფროსმა ტრეპოვმა დაარსა, უპასუხა ვოლფმა.

— როგორ თუ გენერალმა ტრეპოვმა? გაკვირვებით ჰკითხა ბეზენცოვმა.

აქ ვოლფი მოუყვა და დაწვრილებით აუხსნა ჟანდარმთა შეფის კლუბის დაარსების ისტორია.

— მაშ თქვენს მაღაზიაში პოლიტიკაზე ლაპარაკი იმართება?

— რასაკვირველია—უპასუხა ვოლფმა,—პოლიტიკაზედაც და ლიტერატურაზედაც. თქვენც თქვენო აღმატებულებავ არა ერთხელ გისაუბრიათ ჩემს მაღაზიაში პოლიტიკაზე.

— მაგ... მაგ... რასაკვირველია ...მაგრამ იცით მავრიკო ოსეფიჩ, მე აქ მოგიწვიეთ თქვენ გასაფრთხილებლად. როგორც მეგობარი გირჩევ ფთხილად იყავი ....ხომ იცი რა დროში ვცხოვრობთ....

— თუ გვიბძანებთ, თქვენო აღმატებულებავ,— უპასუხა ვოლფმა, — თქვენ ბრძანებით მაღაზიის თაროებზე განცხადებას მივაკრავ, რომ აქ პოლიტიკაზე ლაპარაკი აღკრძალულიაო. აბა ისე როგორ შემიძლია ხალხს ლაპარაკის ნება არ მივცე.

— არა... მე ხომ მაღაზიაზე არ გელაპარაკები, მე „თითქმის კლუბზე" ვამბობ: სჯობია ფრთხილად იყოთ.

ამ „თითქმის კლუბში" იმ დროში დადიოდენ მწერლები და ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები: გონჩაროვი, გრიგოროვიჩი, მაქსიმოვი, მინაევი, ლესკოვი, ვეინბერგი, ზოტოვი, მაიკოვი, მოდესტოვი, პოლონსკი, პლეშჩევი, დანილევსკი, შჩედრინი, კარნოვიჩი, კრესტოვსკი და სხვანი. ხშირად შემოდიოდენ, როცა პეტროგრადში იმყოფებოდენ, პისემსკი, ოსტროვსკი, დოსტოევსკი და სხვ...

ამ „თითქმის კლუბის" სულის ჩამდგმელად „ილუსტრაციის" რედაქტორი ვ. რ. ზოტოვი ითვლებოდა.

„თითქმის კლუბში" ხშირად დავა და ცილობა შეიქმნებოდა და კრება უცხო აზრის შესატყობად ვოლფს შეეკითხებოდა.

— მავრიკი ოსეფიჩ, ჩვენ აქტიორები

# ახალი ამბავი.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა" უკვე მიიღო გასაყიდად ნ. ბარათაშვილის ხელთ ნაწერი პოემა „ბედი ქართლისა" გამოცემა „ამხანაგობისა", ფასი 1 მან.

✦ სასცენო კომიტეტმა ნება დართო, რათა სცენაზე წარმოადგინონ მუსიკოს კ. ფოცხვერაშვილს ახალი ოპერა „გიმნაზიელის სიზმრები". ეს ოპერა პირველად ბაქოს სცენაზე დაიდგმება.

✦ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომი ამ დღეებში მიიღებს ათ ბოჭკა შაბიამანს ეს შაბიამანი უფასოთ დაურიგდებათ საზაფხულო აგრონომების საშვალებით, ქუთაისის გუბერნიიდან ომში გაწვეულ პირთა ოჯახებს.

✦ დაჭრილ-დაავათმყოფებული თვიცრები. უკანასკნელი ხანებში თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი პროპორჩიკები! ი. მ. ოქროპირისძე და ნესტორ გიორგისძე ბერიძე.

✦ როგორც მოხსენებული გვქონდა არქიელის გორაზე საქონლის ჭირი ჯერაც არ მოსპობილა ამის საწინააღმდეგოთ აცრასაც შეუდგენ, რამაც დახმარების მაგიერ ზიანი მიაყენა მცხოვრებლებს, მით რომ ანაცერი პირუტყვი დაიხოცნენ, ამან დიდი შიში გამოიწვია ადგ მცხოვრებთა შორის და შეუდგენ საქონლის ქალაქ გარეთ გახიზნვას, რომ დაიცონ საშიშარი ჭირისაგან. ამ გარემოებამ კი გააძვირა არქიელის გორაზე წყალი, რადგან მიმტანი არავინ არის ერთ ბოჭკა წყალში ახლა იქ მანეთს იხდიან მცხოვრებლები და იმასაც ძლივს შოულობენ.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიამ სასანიტარო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა გელათის ქუჩაზე დარისპან ჯანელიძეს და ყობო ფიჩხაძეს.

✦ მომხმარებელმა საზ. „კოოპერაციამ" ქალაქის გამგეობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა რომლითაც ითხოვდა ქალაქისაგან რიონის გაღმა ნაწილში მიწის დათმობის, სადაც უნდა გახსნილიყო ფურნის განყოფილება, მაგრამ ქალაქისგამგეობამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი ჰქონია, რომ თვით ააგოს იქ ფურნე და იჯარით გადასცეს ხსენებულ საზოგადოების.

✦ ვინაიდან პურის ფქვილის საკმაო იმედი ქალაქის გამგეობას არ აქვს ამიტომ მან გადასწყვიტა რომ მიიღოს ზომები, რათა სიმინდის ფქვილი მაინც იქნას შეძენილი მოსალოდნელ შიმშილობის თავიდან ასაცილებლად

✦ 25 ნოემბერს ახალგაზრდა მწერალმა ვასო ჭითავამ ქუთ. გუბერნატორს თხოვნა მიართვა, რათა მას ნება დართონ სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში მოიწვიოს „ქუთაისის ქართველ მწერლების საზოგადოების" დამფუძნებელი კრება, ამავე საზოგადოების წესდების შესამუშავებლად.

✦ ცნობა საქონლის ჭირის შესახებ. 8 ოქტომბრიდან 15 დი ქუთაისის მაზრის სოფელ როხში 264 საქონელში დაავთმყოფებულა 2, მოუკლავს 2., სამტრედიაში 971 საქონელში, დაავათ. 9, მომკვდარა 2, მოუკლავთ 7, სოფ. კულაში 2170 საქ. დაავათ. 4, მომკვდარა 2, მოუკლავთ 2, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯიხანჯიხში 500 საქ დაავათ. 4, მოუკლავთ 4, სოფ: ომფარეთში 2500 საქ. დაავათ. 7. მოუკლავთ 7, სოფელ ლანჩხუთში 600 საქ. დაავათ. 25, მოუკლავთ 25, სოფ. შუხუთში 750 საქ. დაავათ. 27, მოუკლავთ 27, სოფ. ნიგოითში 480 საქ. დაავათ. 11, მოუკლავთ 11, სოფ. ჩოლობარში 500 საქ. დაავათ. 25 მოუკლავთ 25, სოფ. ჰყონგვარში 420 საქ. დაავ. 9, მოუკ. 9, სოფ. აკეთში 320 საქ. დაავათ. 1, მოუკლავთ 1, სოფ. ჩიბათში 220 საქ. დაავათ. 2, მოუკლავთ 2, სოფ. გვაბრათში 220 საქ. დაავ. 19, მოუკლავთ 19, სენაკის მაზრის, სოფ. ქვანათში 575 საქ. დაავ. 1, მოუკლავთ 3, სოფ კოდორში 571 საქ. დაავათ. 4, მოუკლავთ 4, სოფ. კეტილერში 363 საქ. დაავ. 3, მოუკლავთ 1, სოფ. გულისკარში 214 საქ. დაავ. 1, მოუკლავთ, 1, სოფ. ილორში 1019 საქ. დაავ. 10, მოუკლავთ 10, მომკვდარა 5, ქ. ფოთში, 887 საქ, დაავ. 6, მომკვდარა 5, მოუკლავთ 1, დ. ზუგდიდში 49 საქ. დაავ. 1, მოუკლავთ 1, ზუგდიდის მაზრის სოფ. დარჩელში 600 საქ. დაავ. 2, მომკვდარა 2.

✦ სანოვაგის ზედმოტ—ფასებში გაყიდვისათვის ვაჭარი ლევან თევზაძე პასუხის გებაში მისცეს.

✦ ქალაქის თვითმართველობამ გუშინ ქ. ფოთიდან უკვე მიიღო ერთი ვაგონი პურის ფქვილი, ერსაც დღეს მოელის.

✦ ჩრდილოეთ კავკასიაში ქალაქის თვითმართველობამ პურის ფქვილის საყიდლად გაგზავნა ვანო ცქიტიშვილი.

✦ ქალაქის აფთიაქმა უკვე მიიღო ყვავილის საწინააღმდეგოთ ასაცერი ნივთიერება მსურველთა აცრას ამ დღეებში შეუდგებიან ქალაქის უფასო სამკურნალოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უკანასკნელ დღეებში ქუთაისში საგრძნობლად აცივდა. ამინდიც ერთობ ცუდი დაიჭირა, თითქმის მუდამ წვიმს, ამის გამო შეშის ფასმა მოიმატა. გუშინ ბაზარზე ურემი შეშა 11 მანეთიდან 18 მანეთამდი იყიდებოდა.

## გუბერნატორის კანცელარიის ცნობები

— სოფელ კუდის კარში (ზუგ. მაზრა) 11 ნოემბერს შეიარაღებული ავაზაკები გზაში დახვდენ სტეფანე ანტონის ძე კალანდიას. წაართვეს მას 50 მანეთი და მიიმალენ.

— სოფელ ზანათში (სენ. მაზრა) 6 ნოემბერს გიორგი მიმინოშვილი, ევგენი კორძახია, ბიკტორ გუნია და მათთან კიდევ ვიღაც უცნობი, სახლში შეუცვივდენ იაკობ მიმინოშვილს, წაართვეს მას 50 მან. ფულით, ნივთები 205 მანეთის, მოიტაცეს 16 წლის ქალი ლეისა და გაუდგენ გზას. ძიების შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა ერთი მათგანი გ. მიმინოშვილი და გადასცა სასამართლოს.

— სოფელ ალავერდში (სენ. მაზრა) 10 ნოემბერს ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში წირვის შემდეგ ღვინით გალეშილმა მოსეირნე ვიღაც უცნობმა, თავის გასართობად ასტეხა რევოლვერის სროლა, უცაბედად ტყვია მოახვედრა სოფელ ლევგოგიეში მცხოვრებ გლეხ იოსებ გოგიას მკერდში. გოგია მეორე დღეს გარდაიცვალა, უცნობმა თავს უშველა.

— დ. ზუგდიდის მაზრის უფროსი ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ მას დაუჭერია ცნობილი ყაჩაღები: ზებედე ჯიქია და მალხაზ ხუბულია.

— სოფელ თერჯოლაში (შორ. მაზრა) 10 ნოემბერს ვიღაც ავაზაკმა, ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს ბესარიონ დვალს წაართვა 200 მანეთი და მიიმალა.

— სოფელ კოდორში (სენაკის მაზრა) შეიარაღებული ავაზაკები შეუცვივდნენ სახლში ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხ ალექსი მიმინოშვილს, წაართვეს მას 900 მანეთი ფულად, ნივთები სხვა და სხვა და მიიმალენ. პოლიცია შეუდგა მძარცველების ძიებას და ეჭვით დააპატიმრა სოფელ კაპანის მცხოვრებნი: ელიზბარ ბოჯღუა და კოჩია თოფურია, რომლებიც უცვნია მიმინოშვილს, როგორც მისი მძარცველები.

— სოფელ მოშხაში (სენ. მაზრა) ბოროტ-მოქმედებმა დაუწვეს სახლი სოფლის დარაჯს, ალმასხან გარჩილავას ზარალი 2000 მანეთამდეა. ამ საქმის ჩადენას აბრალებენ ქვრივ მარიამ სანაიას.

# ჩემს ვარსკვლავს.

ჩემი ხვედრია ცრემლი, ვაება,
წილად მხვდა ბედკრულს ტანჯვა, წამება;
ეს მით, რომ ჩემი ბედის ვარსკვლავი
აღარ მინათებს, თანდათან ქრება.
აღარ სჩანს იგი. ჩემი ნუგეში
ამოეფარა შავბნელ ღრუბელსა,
ამაოთ ველი, ველარ ვიხილავ
ჩემ გულის სატრფოს და ჩემს იმედსა.
ტურფავ, მაკმარე რაც რომ ვიტანჯე
და რაც ვაფრქვიე ცრემლი მდუღარე,
მითხარი რამე, მით მანუგეშე,
რათ დაღვრემილხარ, რათ ხარ მდუმარე?
მე უშენობით გული მელევა,
თანამდევს ყველგან შავი აჩრდილი,
აღმომიბრწყინდი ჩემო ვარსკვლაო,
თუ რომ არ გინდა ჩემი სიკვდილი.

საშა ცრემლიანი.

— **ბათუმი.** თუ ბათუმი დღეს ქართული ქალაქს წარმოადგენს, თუ ქართველობას ჯერ კიდევ ფარხმალი არ დაუყრია და ქალაქის გამგეობაც ქართველების ხელშია ეს უნდა უმადლოთ განსვენებული ქალაქის გამგეობის წევრის გ. ვოლსკის უანგარო მუშაობას, რომელმაც ქალაქის საქმეები იმ ჩარჩოებში ჩააყენა, რომ ყოველისფერს ქართველობის სახე ედო. ვოლსკის შემდეგ ქართველობის საქმე ბათუმში ისევ დაღმართზე დაეშვა. თუმცა ოჯახური თვალსაზრით ქალაქის საქმეები ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის ხელშიაც კარგად მიდიოდა, მაგრამ ქართველური აზრი, ქართველური მიზანი შესუსტდა. რამდენათ რომ ქართული საქმე ბათუმში სუსტდება, იმოდენათ სომხები და ბერძნები მაგრდებიან. ყველა მათგანი გაფაციცებით თვალ ყურს ადევნებს, რომ ქართველობამ თავის ნიადაგი შეასუსტოს, რომ მის მაგიერ, მის ალაგს სხვები გამაგრდენ ქართველობის საქმე ბათუმში ბევრად უფრო წინ წავიდოდა, თუ რომ ქართველ ხმოსნებს მეტი ფხა, მეტი ზრუნვა და უნარი გამოეჩინა.

დღეს ბ. საბახტარაშვილის მეთაურობით ბათუმელები აპირებენ ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო ერთ-ერთ ქუჩას და ერთ პირველდაწყებით სკოლას ბარათაშვილის სახელი უწოდონ. ბათუმის ქართველი ხმოსნები იმედია ხმას ამოიღებენ და ამ სურვილს განახორციელებენ.

# სახელმწიფო სათათბირო

## 22 ნოემბრის სხდომა.

სხდომა იხსნება 11 საათ და 26 წ. თავმჯდომარეობს **როძიანკო.**

სახელმწიფო სათათბიროს წევრი **ჩერნოსვიტოვი** მეორე თავის თანამდებობაზედ უარს აცხადებს.

დღის წესრიგში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვის განხილვაა აღნიშნული.

### მილიუკოვის სიტყვა.

ორატორი სათათბიროს ყურადღება მიაქცევს იმ ფაქტს, თუ როგორი გამოცოცხლება შეიტანა სათათბიროში წარმოთქმულმა სიტყვებმა უიმედობით მოცულ საზოგადოებაში ქარხნებისა და მაღაზიებში პროკლამაციების ნაცვლად დეპუტატთა სიტყვები იკითხებოდენ და სწორედ ამის ნაყოფია, რომ მათი ძველი ლოზუნგის მაგიერ: „ძირს ომი", გაჟღდა „ყველაფერი ომისთვის".

ასეთი განწყობილების დროს ყველაფერის მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი, რომ სათათბიროსთვის მთავრობას მხარი დაეჭირა.

თუმცა წავიდა ის კაცი, რომელიც თვით ბოროტების განსახიერება იყო. მაგრამ ძველი სისტემა ისევ დარჩა. ჩვენ არც კი ვიცით ტრეპოვის სახით ჩვენს წინ სდგას მინისტრთა მაგარი თავმჯდომარე, თუ მისი სურვილის დამარცხებას ყველას მიერ მოძულებულის მთავრობის წევრის გადაყენების საქმეში, თვით მისი წასვლაც მოჰყვება.

ორატორი გადადის დეკლარაციის შინაარსზედ და ამბობს, რომ სათათბიროს უმრავლესობა შეერთებულ კაბინეტს ითხოვს, ხოლო ამის მაგივრათ დეკლარაციის განხილვას ითხოვენ. ყველაზედ საინტერესო მასში რუსეთის უფლებათა აღიარება არის კონსტანტინეპოლზედ და სრუტეებზედ. როგორ აღტაცებას და ტაშის ცემას გამოიწვევდა ეს ნობა სათათბიროში, საზანოვი რომ ჩვენს წინ იდგეს, მაგრამ მის ნაცვლათ მხოლოთ თავისუფალს ადგილს ვუყურებთ. დეპუტატი კითხულობს პროგრესული ბლოკის პროგრამას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მის შესახებ დეკლარაციაში არაფერი არა სჩანს. მთავრობა თანახმა იმუშაოს სათათბიროსთან ერთად, მაგრამ შესწყდა მუშაობა მხოლოთ კანონმდებლობითი ფუნქციებით ბლოკის პროგრამა კი საერთო მართველობაშიაც თხოულობს შეთანხმებას. მთავრობის დეკლარაციაში არავითარი პროგრამა არა სჩანს. მილიუკოვი ხაზს უსვამს 87 მუხლის საკითხს და აღნიშნავს ტრეპოვი სრულებით არ სჩქარობს რეინის უწყება სათათბიროს წარუდგინოს გამსახილველად.

მინისტრთა თავმჯდომარის დაპირებაში ცენზურის შესახებ დაცინვაც კი ისმის საინტერესოა, იცის თუ არა ტრეპოვმა მთავრობის ცირკულიარები ცენზურის შესახებ. აკრძალულია საზღვაო მინისტრის დეპეშა ჩელნოკის მიმართ, დაკავშირებულია პურიშკევიჩის სიტყვის ბოლო და მრავალი სხვა. მინისტრთა პრემიერი მუშაობისთვის იხმობს საზოგადო დაწესებულებათ და საქმით კი მათ წინააღმდეგ ზომებს იღებს. შეუძლია თუ არა მას პირობა მოგვცეს, რომ ესეთი წესი შეიცვლება? დეპუტატი გადადის გერმანელთა რუსეთში შემოსევის საკითხზედ და ამბობს, რომ იგი ვერ შეურიგდება იმათ აზრს, ვინც ისწრაფვის, ერთი ერის შემოსევა მეორეთი შეიცვალოს. შესაძლებელია, რომ მალე ბრძანება გამოვიდეს გერმანელთა მაგიერ რუსეთში ფრანგები, ან ინგლისელნი გაბატონდნენ. ორატორი უპასუხებს აგრეთვე პურიშკევიჩს და ამბობს, რომ მან უფრო განავითარა ტრეპოვის აზრი ამ საკითხზედ და მას მით უფრო ვერ გაჰყვება სათათბირო.

მილიუკოვი თავის თავზედ იღებს მოვალეობას და სთხოვს სიტყვას ხერსონისა და თერგის გუბერნატორთა და ხერსონის თავად აზნაურთა მარშლის დასაცავად მათ მიმართ გერმანელთა მფარველობის ბრალდების შესახებ. პურიშკევიჩი იყო გერმანელთაგან დაყენებული და ბევრს გვეუბნებოდა მათ ლოიალობის შესახებ და მას ყველაზედ მეტი სიფრთხილე ჰმართებს. მილიუკოვის აზრით ეს საშუალებანი სახელმწიფო საჭიროებით არ არის გამოწვეული ვინ იქნება თქვენში ისეთი—ამბობს იგი, რომელიც ჰფიქრობდეს, რომ გერმანელთა მიწის მფლობელობის მოსპობა სხვაფრივ არ იქნეს თუ არ იმ ხალხის გაღატაკებით, რომელიც პოლიტიკას სრულებით არ მისდევს, და რომელიც ას წელზე მეტია რაც რუსეთში სცხოვრობს? ბოლოს მილიუკოვი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ მთავრობის მოქმედება არ შეეგუება ცხოვრების მოთხოვნილებებს, რომ მთავრობასთან ერთად მუშაობა სათათბიროს არ შეუძლიან, რადგანაც ასეთი მუშაობა რუსეთს გამარჯვებას ვერ მიანიჭებს. „ამ რიგად—ამბობს მილიუკოვი—ეხლანდელი მთავრობა ვერც ერთ იმ საკითხს ვერ გადასწყვეტს, რომელიც ამ ომმა წამოაყენა. ერთად ერთი ხსნა მხოლოდ იმაშია, რომ შეიქმნას ქვეყნის ნდობამოსილი მთავრობა". მილიუკოვის შემდეგ ილაპარაკა გზათა მინისტრმა, ტრეპოვმა და პასუხი გასცა პურიშკევიჩს.

12 საათ. და 50 წ. სხდომა შესწყდა 2 საათ. და 20 წ. ისევ დაიწყო. თავმჯდომარეობს როძიანკო.

**მარკოვ მეორე.** პირველი დღე არ არის რაც სათათბირო მინისტრთა მოქმედებას არკვევს. სათათბიროს უმრავლესობამ უკვე მოჰსპო ეს საქმე, რადგანაც მინისტრები სათათბიროს დანიშნულნი არ არიან. იმის მაგივრად, რომ მინისტრებს შენიშვნები გაუკეთოს, უკეთესი იქნებოდა, თუ სათათბირო საქმეს შეუდგება. ათასი განსახილველი კანონპროექტებია. ორატორი იმ აზრისაა, რომ სათათბირო მთავრობის უმადურია, და ის კი არა ჰსურს რომ მინისტრებს მოუსმინოს. პურიშკევიჩი მემარჯვენეა, მაგრამ იგი მემარჯვენებს არ ეგუება. მისი აზრით სასურსათო საქმის აწეწვაში გუბერნატორები არიან დამნაშავენი და ის კი ავიწყდება, რომ ამ საქმეს სათავეში [illegible] არა, არამედ საგანგებო სათათბიროს [illegible] ნებულნი უდგანან — [illegible]. პროგრესისტები არიან აქ მარკოვმა ჩამოსთვალა ისეთი პირნი, რომელნიც სასურსათო საქმეს სათავეში უდგანან, ესენი პროგრესისტები არიანო. მარკოვი ლაპარაკობს გაზეთ „რუსსკაია ვოლია"-ს შესახებ. პურიშკევიჩი ამბობს ამ გაზეთში პროგრესისტები არ არიანო, ნამდვილად კი სულ პროგრესისტები მონაწილეობენ და სათავეშიც გრიმმი უდგა, ის გრიმმი, სახელმწიფო საბჭოს წევრი რომ არის.

მარკოვის ამ სიტყვებმა მარცხნივ დიდი ხმაურობა გამოიწვია. თავმჯდომარემ მარკოვს სიტყვის თქმის ნება წაართვა. ამის გამო მარკოვმა თავმჯდომარეს სიტყვით შეურაცხოფა მაყენა. როძიანკომ თავმჯდომარეობა თავის ამხანაგს გადასცა და მარკოვის დასჯა მოითხოვა.

**თავმჯდომარეობს გრაფი ბობრინსკი.** მისის წინადადებით მარკოვი დათხოვნილ იქმნა სათათბიროს 15 სხდომიდან.

კრება შესწყდა 10 წუთით და 4 საათზე ისევ განახლდა. ბობრინსკი აცხადებს, რომ როძიანკო სათათბიროს თავმჯდომარეობას სრულებით ანებებს თავს და საჭიროა სხდომის 9 საათზე დაინიშოს საგანგებო კრება, სათათბიროს ახალი თავმჯდომარის ასარჩევად. მაგრამ სათათბიროს თითქმის ყველა ჯგუფებმა როძიანკოს თანგრძნობა განუცხადეს. ბობრინსკი წავიდა, რომ როძიანკოს ეს ამბავი შეატყობინოს.

**თავმჯდომარის ადგილზე ნეკრასოვია.**

**გოსტინეცკი.** პოლონელთა კოლომ არა ერთხელ მიუთითა მთავრობას, რომ საჭირო იყო გერმანელების აქტისათვის პოლონეთის აღდგენის შესახებ ხელის შეშლა, საჭირო იყო პასუხის გაცემა ამ აქტზე, ჩვენქს პირველ ნოემბერსა ვთქვით, ორში კი გამოვიდა მთავრობის აქტი, რომელმაც პოლონელების მოქმედება შეასუსტა. გერმანეთი მუდამ სცდილობდა, ხელი შეეშალნა პოლონელთა მოძრაობისათვის. ეხლა ყველა პოლონელს კარგად ესმის, რომ პრუსიის დაცემა მხოლოდ პოლონეთის აღდგენით შეიძლება. მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ ომი გამარჯვებამდის უნდა მივიყვანოთო პოლონელებს იმედს უნერგავს გულში პოლონეთის გაერთიანებისას. მხოლოდ აღორძინებული პოლონეთი იქნება ევროპაში თანასწორობის დამამყარებელი.

**კარაულოვის** აზრით, მთავრობის დეკლარაციაში სანუგეშო მხოლოდ ის არის, რაც დარდანელსა და სტამბოლს ეხება.

**რჟევსკი.** პროგრესისტების სახელით შეაქვს ფორმულა; მხოლოდ პასუხისმგებელ სამინისტროს შეუძლიან შეჰკრიბოს ხალხის ძალა მტრის დასამარცხებლად. ახლანდელ მთავრობას, კი რასაც იგი ამ მოთხოვნილებებს არ ეგუება, არც შეუძლიან ხელი შეუშალოს მავნე გავლენას და ამიტომ ასეთი მთავრობა უნდობლობის ღირსია.

**შიდლოვსკი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვებში საზოგადო ორგანიზაციათა მოქმედების განვითარების შესახებ, ხედავს გადაწყვეტილ მიზანს, მაგრამ ჰგონებს, რომ ამ საკითხში მთავრობა და სათათბირო ვერ მორიგდებიან. თავის სიტყვას შიდლოვსკი ათავებს შემდეგის ფორმულით: სათათბირომ სცნო რა, რომ კაბინეტში მომხდარი ცვლილებანი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ეს ცვლილებანი იქმნება შეცვლა პიროვნებათა და არა სისტემისა და რომ ასეთი ცვლილებანი საკმარისი არ არის სათათბიროსა და მთავრობის დამოკიდებულებათა შესაცვლელად, სათათბირო განაცხადებს: 1) უნდა იქმნეს მოსპობილი გავლენა უხილავ ძალთა და 2) სათათბირო წინანდებურად კანონიერ გზით ეცდება, რომ შედგენილ იქმნას შეერთებული კაბინეთი, რომელიც დამყარებული იქნება სათათბიროს უმრავლესობაზე, რომლის წევრებიც ერთნაირად შეიგნებენ დღევანდელ მომენტს (ტაში მარცხნივ და ცენტრში).

**პურიშკევიჩმა.** პირად საკითხზე ილაპარაკა და ბოლოს მარკოვ 2 ეს მის საქციელის გამო ზიზღი გამოუცხადა.

**ტარასოვმა** განაცხადა, რომ მარკოვ 2 ის საქციელის გამო, იგი და მისი ხუთი ამხანაგი მემარჯვენეთა ფრაქციას თავს ანებებენ.

# კავკასიის ქრონიკა.

— თფილისიდან იწერებიან, რომ 4 მომავალი დეკემბერს, ახალი კლუბის სათეატრო დარბაზში ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების გამგეობა სალიტერატურო დილა' გამართავს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ვართ და შენ ხალხის წარმომადგენელი; იფიქრე და შენი აზრი გვითხარი.

ვოლფიც ხშირად შემდეგი შინაარსის პასუხს მისცემდა. იგი ხაზ დაუსვამდა, რომ მას ლიტერატურულ ნაწარმოებზე ორნაირი თვალთაზრისი აქვს: თვალთაზრისი მ. ო. ვოლფის და ვოლფის, როგორც წიგნის მაღაზიის პატრონის. მაგალითად ცნობილი კრესტოვსკის რომანი „პეტერბურგსკია ტრუშჩობი," რომელიც დიდ ძალი საღდებოდა მაშინ, მას, როგორც წიგნთა გამყიდველს, ძრიელ მოწონდა რადგან მას დიდი სარგებლობა მოჰქონდა, მაგრამ მ. ო. ვოლფს, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, დიდათ არ აფასებდა.

ეს ორგვარი შეხედულება დიდხანს ბაასის თემათ იყო კლუბის წევრთა შორის ბევრჯერ ჰქონდათ მსჯელობა მასზე, შეიძლება, თუ არა ერთ და იმავე პირს ორმაგი შეხედულება ჰქონდეს საგანზეო.

„თითქმის კლუბი" მარტო ლიტერატურული თემებით არ კმაყოფილდებოდა; იგი ხშირად პოლიტიკაში გადაიხედავდა და რუსეთის შინაურ ცხოვრებას ეხებოდა.

ერთხელ ზოტოვმა მიიხედ-მოიხედა და თქვა: კარგი რომ ამ კედლებს ყურები არაა აქვსო, თორემ ჩვენ, როგორც ნიგილისტებს, თავს იქ ამოგვაყოფინებენ, სიდანაც დაბრუნების მოლოდინი ყინვაზე იწერებაო

ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, „თითქმის კლუბს" მოსკოვიდან ჩამოსული ქართველების მოძულე კატკოვი ესტუმრა. ხმა იყო გავარდნილი, რომ კატკოვი მაღალ თანამდებობაზე ინიშნებაო. კლუბმა კატკოვი ცივათ, მაგრამ თავდაჭერილი პატივისცემით მიიღო, როგორც კი კატკოვი წავიდა, მინაევმა იქვე სტოლზე ექსპრომტად ლექსი დაჯღაბნა:

Слухъ носится, что очень шибко
Впередъ подвинется Катковъ,
Но это явная ошибка:
Онъ, какъ извѣстно, не таковъ;
Онъ пятится назадъ полвѣка.
Настойчиво изъ года въ годъ,
Такъ отъ такого-ль человѣка
Намъ ждать движенія впередъ

მინაევი ხშირად წერდა „თითქმის კლუბში" ექსპრომტებს უბრალო ნაჭერ ქაღალდებზე, ან გაზეთის დაუწერავ გვერდებზე და იქვე მაგიდაზე ტოვებდა, ან იატაკზე გადაყრიდა. ამ გვარ ნაწერებს ვოლფის მაღაზია ცალკე კრეფდა და ინახავდა.

ერთდღეს „თითქმის კლუბში" დიდი აღელვებული ბაასი იყო გამართული; ხმა მაღლა ლაპარაკობდნენ ამ დროს კარები გაიღო და მაღაზიაში მაღალი წამოსხდევი თეთრ წვერა და თეთრ თმიანი კაცი შემოვიდა. იგი კოხტად, უკანასკნელ მოდაზე იყო ჩაცმული. მის სახეს ლამაზი წყლიანი თვალები ამშვენებდენ.

ტურგენევიო! უცბად გავარდა ხმა „თითქმის კლუბში" და სტუმარიც მისკენ გაეშურა.

მოსული მართლა ტურგენიევი იყო. იგი პარიზიდან ჩამოსულიყო პეტროგრადში ნაცნობების და მეგობრების სანახავად.

მისი ნახვა ყველას ძრიელ გაეხარდა; სახეზე რაღაც სიამოვნება დაეტყოთ. ყველამ დიდი მოწიწებით მოიკითხა. ტურგენიევიც ყველას მიესალმა, შეეკითხა სხვადასხვა სანგრების შესახებ და თავისი აზრებიც გაუზიარა.

ტურგენიევმა უთხრა მათ, რომ თუმცა უცხო ქვეყანაში ვცხოვრობ, მაგრამ რუსეთის ყოველ ძარღვის ცემას და მის ლიტერატურას თვალ-ყურს ვადევნებო.

ვოლფის „თითქმის კლუბში" ისეთი შეთქლეშა და სიცოცხლით ავსილი მუსაიფი არ ყოფილა, როგორც 1878 წ. 28 იანვარს, როდესაც ვერა ზასულიჩმა წინა განსაზღვრული მიზნით ქალაქის უფროსს ტრეპოვს რევოლვერი ესროლა.

როგორც იმ დროში ხმა იყო გავარდნილი, მკვლელობით ვერა ზასულიჩს უნდოდა პეტროგრადის ახალგაზდობის მხრით პროტესტი გამოეცხადებინა არსებული ადმინისტრაციის მიერ უფლებათა გაქელვის და ბოგოლიუბოვის და სხვა ახალგაზდა სოციალისტთა ტანჯვის გამო.

ვოლფის მაღაზიაში არა ერთხელ დადიოდა და ბაასობდა ა. ფ. კონი, რომელიც ზასულიჩის საქმეში ოლქის სასამართლოში თავმჯდომარეობდა, აგრეთვე ხშირად შეხვდებოდით ნაფიც ვექილს ალექსანდროვსაც, რომელიც ზასულიჩს იცავდა, მაგრამ ერთხელაც არ მომხდარა, რომ მათ ამ საქმეზე ლაპარაკი ჩამოეგდოთ. როდესაც ვერა ზასულიჩის საქმის დანიშვნა გამოცხადდა „თითქმის კლუბში" მომსვლელებს მღელვარება დაეტყო. ხშირად ჰქონდათ ამაზე ლაპარაკი. ვერა ზასულიჩის დასჯის მოლოდინი ვერ მოეწონებოდა: დოსტოევსკი არა ერთხელ ამბობდა—შეუძლებელია, რომ მსაჯულებმა ზასულიჩს სასტიკი სასჯელი მიუსაჯონო.

ერთი სიტყვით 1878 წლის 31 მარტს, როდესაც ზასულიჩის საქმე გაირჩა „თითქმის კლუბის სტუმრები ძრიელ ღელავდენ, მთელი დღე და ღამე „თითქმის კლუბი" სავსე იყო. ყოველ საათში სხვადასხვა ხმები მოდიოდა. ზოგი ამბობდა რომ, თუ ზასულიჩი დასაჯეს, ხალხი დემონსტრაციას მოახდენსო. ზოგი რევოლიუციისთვის ემზადებოდა. ამბობდენ, რომ ყოველ შემთხვევისთვის ჯარი ფეხზე იყო დაყენებული და პოლიცია დარაჯობდა.

გადაწყვეტილება ღამე, გვიან, გამოაცხადეს: ვერა ზასულიჩი ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ არ იცნეს და გაამართლეს.

როდესაც ამ გადაწყვეტილებამ „თითქმის კლუბამდი" მიაღწია, ზოგს ძრიელ გაუკვირდა, ზოგს გაეხარდა. ვიღაცამ ხალხში დაიძახა „მართლმსაჯულობას" გაუმარჯოსო.

დღეს იმ ოთახის, სადაც 70 და 80 წლებში „თითქმის კლუბი" არსებობდა, კვალიც აღარ არის. მხოლოდ დარჩენილია ის მაგიდა, რომლის გარშემო ზემოხსენებული მოწინავე პირნი იკრიფებოდენ. ამის გარდა მ. ო. ვოლფის სიკ დილის შემდეგ დარჩა ის ექსპრომტები, ლექსთა ნაწყვეტები და წერილები, რომელთაც იგი დიდი გულსმოდგინებით ჰკრეფავდა და ინახავდა.

ვ. იგლიტელი.

კენჭის ყრით სათათბირომ ხუთი ფრაქციის ფორმულა მიიღო პროგრესისტებისა უარჰყო

საღამოს 9 საათზე იყო სხდომა თავმჯდომარის ასარჩევად. აირჩიეს როძიანკო 255 ხმით, წინააღმდეგ 26.

## სახ. სათათ. გარშემო.

მოსკოვის გაზეთები შემდეგს გადმოგვცემენ:

როდესაც ა. ფ ტრეპოვი სათათბიროს ტრიბუნაზე ავიდა, უკიდურესმა მემარცხენეებმა ყვირილი ასტეხეს: „ძირს, გადააყენეთ!“. კრებიდან გაძევებულმა დეპუტატებმა ისარგებლეს შემთხვევით და განმარტება მისცეს, ჩხეიძემ მესამე სათათბიროში წარმოთქმული გუჩკოვის სიტყვა მოიყვანა, მაგრამ თავჯდომარემ შეაწყვეტინა. ყველა ორატორები ბლოკს უკმაყოფილებას და გულის წყრომას უცხადებდენ. ხაუსტოვმა სთქვა, როდესაც ბლოკი უკიდურეს მემარცხენეთა სათათბიროდან გაძევებას მხარს უჭერს, სჩანს ის მთავრობას ემხრობა და ხალხის წინააღმდეგ მიდისო.

ჩვენ ისეთი საკანონმდებლო აქტი უნდა მივიღოთ, რომ ხალხი ბატონ ყმობის ულლიდან განთავისუფლდეს; ბლოკი კი არ იბრძვის, არამედ ფარისევლობსო“. სუხანოვმა განაცხადა: „მე არ მეგონა, თუ ბლოკი იმას მოუსმენდა, რომელიც მთავრობას ეკუთვნის, იმ მთავრობას, რომელსაც ბრალი ედება იმაში, რომ“...

სხდომის შემდეგ, როდესაც სუხანოვმა დარბაზიდან გასვლაზე უარი სთქვა, მას მიუახლოვდა როძიანკო და გასვლა სთხოვა. სუხანოვმა უპასუხა: მხოლოდ შენი პატივისცემისთვის გავალ აქედანაო“

— „უტრო როსი“ იტყობინება: როგორც კი პროტოპოპოვი შემოვიდა, დარბაზში ირონიული გუგუნი გაისმა, რაც არაფერ კარგს არ მოასწავებდა. შემდეგ ამოიღო თუ არა ტრეპოვმა ხმა, მარცხნიდან გაისმა: „ძირს პროტოპოპოვი“! როძიანკოს სიტყვებმა სათათბიროს პოლიციის მოწვევის შესახებ სუხანოვის გასაძევებლად დეპუტატებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. კადეტები უხერხულად გრძნობდნენ თავს, მაგრამ დეპუტატების გაძევებას მაინც მხარი დაუჭირეს.

პროგრესისტები ტრეპოვის წინააღმდეგ წავიდნენ და როდესაც მან დაიწყო ლაპარაკი მთავრობის ხალხისადმი კეთილ განწყობილებაზე, ერხმად იყვირეს: „არა გვჯერაო“. ტრეპოვის დეკლარაციას კულუარებში ბასი არ გამოუწვევია.

— კვლავ გავრცელდა ხმები პროტოპოპოვის გადაყენების შესახებ, რადგანაც მისი პოზიცია პროგრესიულმა ბლოკმა“ არ გაიზიარა, და ოპოზიციაში ჩაუდგენ მას. დ-დის ინტერესით მოელიან მის გამოსვლას სათათბიროში. ხმებია სათათბიროს პირველ სხდომაზე სიტყვის წარმოთქმისათვის პროტოპოპოვმა პურიშკევიჩი დუელში გაიწვიაო. თვითონ პურიშკევიჩი ამ ხმებს უარჰყოფს.

## პირველი სახელმწიფო სათათბირო.

პირველ სახელმწიფო სათათბიროს ათი წლის იუბილეს საზოგადოება ძლიერ ცივად შეხვდა. მისი იმედები გაცრუებული დარჩა. მოლოდინში მოტყუვდა. რაც ეგონა, ის არ იქმნა. თავის უკმაყოფილებას საზოგადოებამ ხაზი გაუსვა მით, რომ სათათბირომ ათი წლის შესრულებას ყურადღება არ ათხოვა, მას არავითარი მნიშვნელობა არ მისცა.

ამ დიდ ისტორიული ერთადერთი მოვლენის სახსოვრად რუსეთის ცხოვრებაში დარჩება ამ შემთხვევის გამო გამოცემული კრებული. ამ გამოცემაში პირველი სახელმწიფო სათათბიროს 22 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. მასში დაწვრილებით არის აწერილი ზოგიერთ ადგილებში დეპუტატების არჩევნები, რომელნიც მშვენივრად ასურათებენ მაშინდელ საზოგადოებრივ სულიერ განწყობილებას სხვადასხვა პარტიებში.

ხუთი წერილი აქვს მიძღვნილი მას, თუ როგორი მსვლელობა ჰქონდა პირველ სახელმწიფო სათათბიროს სხდომებს. დაწვრილებით აღწერილია პირველი სათათბიროს პირველი სხდომა 1906 წლის 27 აპრილს.

დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს მ. ვინავერის სტატიას, რომელიც დაწვრილებით ეხება ვიბორგის მოწოდების შედგენას. ასე დაწვრილებით ვიბორგის ისტორია ჯერ არსად არ ყოფილა აღწერილი.

კრებული თავდება ნეკროლოგებით: დიდად დამახასიათებელი ნეკროლოგებია მურომცევის, გერცენშტეინის და ჩერშენევიჩის; აგრეთვე ახალ განსვენებულთა ობნინსკის და კოვალევსკის.

ამ კრებულის გამომცემელ 22 დეპუტატში არიან კადეტები, ტრუდოვიკები და სოციალდემოკრატები.

მიუხედავად იმისა, რომ არსაიდან კმაყოფილება არ ისმის, ხალხის ცხოვრებაში მაინც გაიჭედა ის აზრი, რომ სათათბირო ძლიერი იარაღია მორიგ და კითხვების კათედრიდან დადგენაში.

არჩევნებზე და პარტიათა ერთმანეთში განწყობილებაზე გამოთქმულია აზრი პეტროგრადის, სამარის, ყაზანის, თავრიდის გუბერნიების შესახებ; აგრეთვე დონის ოლქზე და კავკასიაზე. ამასთანავე ღირსშესანიშნავია იმავე ვინავერის წერილი: „გარეკის მოლოდინში და გარეკის შემდეგ“.

საერთოდ კრებული თავის გულ-ახდილობით და თბილი გრძნობებით ახლო წარსულს ისე ახასიათებს, რომ ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე.

იგივე

## პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ბერეთისა** (ზემო იმერეთი) ეს სოფელი მდებარეობს ჭიათურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და დაშორებულია მასზედ 13—15 ვერსით ამ სოფელში ითვლება 200 მეკომურამდის და ხვნა-თესვის გარდა, მისდევენ კრამიტისა და ქვა-კირის დამზადებას, რითაც კარგა-ძალ ფულს შოვულობენ უოველ წლივ. ამ დარგის წარმოებაში ბერეთისლებს დიდად ხელს უწყობს ბერეთისის მთის სიახლოვე, რომელიც წინათ ადგილობრივი ხალხის საკუთრებას შეადგენდა, ახლა კი სახაზინოთ არის შერიცხული, რის შემდეგაც ადგილობრივ მკვიდრთა სარგებლობა მთიდგან მეტად შეზღუდულია.

ეს სოფელი 2—3 წლის წინათ მოკლებული იყო ყოველ-გვარ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს, მაგრამ ამ ორი წლის წინათ აქ გაიხსნა პირველ დაწყებითი სამინისტრო სასწავლებელი. რამაც, ცოტა არ იყოს ამ სოფელს გამოღვიძების ელფერი მისცა. ამ ერთი წლის წინათ კი აქაურებმა ადგილობრივი მცხოვრების ბ-ბ. დენტორ და ვასილ ტაბატაძეების მეთაურობით განიძრახეს მომხმარებელი საზოგადოების დაარსება, რის მოგვარებაც დაავალეს აქეთკენ ცნობილ კოოპერატორ მღვდ. ვლადიმირ მაჭარაშვილს, რომელმაც უკვე მიიღო ქუთაისის გუბერნატორისაგან სათანადო ნებართვა. წასულ ოკტომბრისთვის 26 რიცხვებში მღვდ. ვლად. მაჭარაშვილის თავჯდომარეობით მოხდა ბერეთისის მომხმარებელი „ანგარიში“-ს საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კრება. კრებას მღ. მაჭარაშვილმა ვრცელი სიტყვით გააცნო ამ ფრიად სიმპატიური საზოგადოების დაარსების მიზანი და მნიშვნელობა და უსურვა ახლად არჩეულ გამგეობის და სარევიზიო საბჭოს წევრთ გამართლება საზოგადოების ნდობისა და ამ ფრიად ამ დროის სასარგებლო საქმის სასურველათ დაყენე ა.

დამსწრე.

---

**სოფ. კოდორი** (სენაკის მაზრა). 15 ნოემბერს, ოთხი შეარაღებული ბოროტ-გამზრახველნი, დამის ათ საათზე, მოულოდნელად თავს დაესხნენ ავაზაკური განზრახვით ნაესაკოვის ორკლასიანი სამ. სასწავლებლის ზედამხედველს, მ. კუჭავას, რომელიც დღისით მუშაობით დაქანცული იჯდა თავის ოთახში და სასკოლო სამუშაოს აწარმოებდა.

ზედამხედველ კუჭავას მოთხოვეს ფული ია რაღით ხელში, იგი ჯერ უარზე დაადგა, მაგრამ მერმე, ბევრი ჩხრეკის შემდეგ, შიშითა თავზარ-დაცემული, დანებდა მათ მხეცურ მოთხოვნილებას და გაუღო სკოლის შკაფის კარი, საიდანაც ყაჩაღებმა გამოიტანეს 120 მ. საკუთარი კუჭავას ფული, სკოლის კასიდან წაიღეს 37 მან. და 90 კაპ. მასწავლებლის მისაცემი ჯამაგირი ოკტომბრის თვის 23 მან. და 70 კაპ. სულ ფულად მას მოსტაცეს 118 მან. 60 კაპ.

წაღებულია აგრეთვე სკოლის შემდეგი ნივთები: მაკრატელი ღირებული 1 მან. 40 კ.; კომპასი ღირებული 1 მან., დანა ღირებული 1 მან. 80 კაპ. მასთან ავაზაკებმა თან წაიღეს ბ. კუჭავას საათი, ღირებული 25 მან. სათოფოფე, დაიგანადის ახალი შარვალი და პალტო.

ერთი სიტყვით მდგომარეობა ბ. კუჭავასი მეტად უნუგეშოა, ვინაიდან ცოლ-შვილით დატვირთული კაცი ასეთ სიძვირის დროს, გარდა ფულად ზარალისა, დასტოვეს უტანისამოსოდაც.

მასთან ერთად, სახლის პატრონს, სადაც კუჭავა დგას ბინად, კ კუცაას ავაზაკებმა წაართვეს ფულად 23 მან. სულ ზარალი უდრის 300 მან

სწორედ გაოცებაში მოდიხარ ადამიანი როდესაც თვალ წინ გიდგას ასეთი სიმხეცე და ისიც იმ ადამიანის მიმართ, რომელიც საზოგადო მოღვაწეობას მასწავლებლობას ეწევა.

დროა ასეთს შემთხვევებს ბოლო მოეღოს და ვინც ჯერ არს, მიაქციოს ამას სათანადო ყურადღება.

ასეთი საზიზღარი მოვლენები დღითი დღე ვრცელდება ჩვენს უპატრონოდ მივარდნილ კუთხეში, ვინაიდან გასულ კვირეს ამავე სოფლის მცხოვრები ა. მიმინოშვილს და ი. ელიავასაც თავს დაესხნენ ბოროტ გამზრახველები და პირველს მათგანს წაართვეს ფულად 900 მან. და მეორეს კი ოქროული ნივთები. თუ ასე უპატრონოთ იქნა ჩვენი კუთხე მიტოვებული, ეჭვი არაა, ასეთი მტაცებლობა თანდათან ფეხს გაიდგამს და ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდებს.

ნ. მ.

— **ხიდისთავი.** (გურია) ბასილეთისსოფლის საზოგადოებამ და ჯვარცმისსაზოგადოების სამმა სოფელმა განაჩენი გამოიტანეს მათ უნდა გაეხსნათ დაბა ხიდისთავში პირველ დაწყებითი უმაღლესი ოთხ კლასიანი სასწავლებელი განაჩენი ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა და წარუდგინა სათანადო სამოსწავლო მთავრობას. აგერ რვა თვე გადის, რაც. დირექტორმა ოლქის მზრუნველთან სკოლის გახსნის შესახებ შუამდგომლობა იღძრა, საზოგადოებამ მიწა შეიძინა, საკუთარი შენობა აგო, მაგიდები დაამზადეს, სკოლის შესანახავად 1000 მანეთი ხაზინაში შეიტანეს და ჯერ კიდევ აგვისტოში ელოდენ, რომ სექტემბრიდან ნება მოგვეცემა და სკოლა გაიხსნებაო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. სოფლემა დეპუტატები გაგზავნა მზრუნველთან რომლისაგანაც მხოლოდ ამ ნოემბერში მიიღო ნებართვა. ამ ნაირად შესრულდა ხიდისთაველების სურვილი.

— **დ. ხაშური** ჩვენი კოოპერატივის გამგეობის დაუღალავმა მუშაობამ ნაყოფი გამოიღო. გაიხსნა საბაკალეინო მაღაზია და ფურნე, დღეს, როდესაც სასურსათო საკითხმა უმთავრესი ადგილი დაიჭირა, როდესაც მსოფლიო ომმა არეულ-დარევა და საისტორიო სიძვირე გამოიწვია ათას ნაირი დაბრკოლებანი წამოუყენა წინ ნორჩ დაწესებულებას. გამგეობის მუყაითი შრომაც უძლური გამოდგა. ჩვენ ფურნეს ფქვილი არა აქვს ამ ჟამად. შაქარსაც ცოტას მოუღობს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი მდგომარეობა გულგრილობას და დაქსაქსვას გამოიწვევს ხალხში. ამიტომ ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა; დაქირავებული იქმნას ერთი კაცი, რომლის სპეციალურ მოვალეობას უნდა შეადგენდეს საჭირო სურსათის გამოძებნა და მოზიდვა

თ. ა.

— **სად ჯუმათში.** ჯვარეგეთის მომხ. საზოგადოებამ „შედავათმა“ ამ დღეებში მიიღო ერთი ვაგონი პურის ფქვილი და 610 ფუთი ნავთი მაგრამ სამწუხაროდ საქმე კარგად არ არის დაყენებული. გამგეობის წევრებათ მცოდნე კაცები არ არიან დაყენებულნი. ყოველივე საქმეს ნოქრები განაგებენ. ამის წინათ მოლარეს 97 მანეთი დააკლდა. მოლარემ ნოქრებს დააბრალა მორგებულ კლიტით საფულე გამიღეს და მომპარესო. ცხადია, გამგეობა რომ თავის მოვალეობას კარგად ასრულებდეს, ასეთ სამარცხვინო ამბავს ადგილი არ ექნებოდა.

თ. ა.

— **შემოქმედში** (გურია) გაიმართა კოოპერატივის წევრთა საზოგადო არაჩვეულებრივი კრება, რომელმაც დაადგინა: გახსნან სახარაზო განყოფილება, ამ მიზნისათვის კრებამ საჭიროთ სცნო მოკრიბოს წევრთაგან ხუთ-ხუთი მანეთი.

## რუსეთი.

შტიურმერის მიერ მილიუკოვის პასუხის გებაში მიცემა საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა. მილიუკოვს უთქვამს: მომჩივარი შტიურმერი ბოლოს და ბოლოს დამნაშავის სკამზე გადაჯდებაო.

— ნოვოჩერკასიდან გაუძევებიათ ასადე ებრაელი სტუდენტები, რომელთაც ბინადრობის უფლება არა ჰქონიათ.

— როგორც ვიცით შინაგან მინისტრად დანიშვნის პირველ დღეებში ა დ. პროტოპოპოვმა დიდი ყურადღება მიაქცია პრესას, მას დიდი მნიშვნელობა მიაკუთვნა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველა გაზეთმა მიკერძოვება იციან და არც ერთი მათგანი გულწრფელად არა სწერსო.

პროტოპოპოვმა საჭიროდ დაინახა „გულწრფელი“ ორგანოს დაარსება და მალე ქვეყანას მოევლინა გაზეთი „რუსეთის შვება.“

დღეს პროტოპოპოვსა და მისივე გაზეთს შორის ერთსულოვნება არ არსებობს ამ გაზეთის ხელმძღვანელებს კერძო საუბარში განუცხადებიათ: „პროტოპოპოვის პოლიტიკას აღარა გვწამს რა, სრულებით ის არ არის, რასაც მოველოდით“-ო. საერთოდ თითქმის ყველა რუსული გაზეთი იმას ამბობს, რომ პროტოპოპოვმა თავის დაპირებანი არ შეასრულაო.

— იაროსლავის გუბერნიის თავად აზნაურობას დაუდგენია ყველა სათავად აზნაურო დაწესებულებებიდან, სადაც კი შტიურმერი წევრად ირიცხება, განდევნილ იქნას. საერთოდ ბოლო დროს რუსეთის სათავად აზნაურო წრეებში შტიურმერს ცუდი თვალით უყურებენ.

## უცხოეთი.

ავტონომიურ გალიციაში მეფის ნაცვლად პოლონელი გრაფი გოლუხოვსკი ინიშნება, რასაც პოლონელები ერთობ თანაგრძნობით შეხვდრიან

— ბულგარეთის პრემიერ მინისტრი „დიდი ბულგარეთის“ პროექტს ადგენს თურმე.

— ვარშავაში მომხდარ „პოლონეთის გლეხთა ყრილობაზე“ გერმანიის საწინააღმდეგო ყრილობა მოუხდენიათ.

— გერმანელებს ბელგეთის მცხოვრებთა აღმოსავლეთის ასპარეზზე მოწინავე სანგრების გამაგრებაზე ამუშავებენო.

— მთელი ბელგეთიდან და ლიუქსემბურგიდან გერმანელები მცხოვრებლებს შეუწყვეტლივ გზავნიან შიდა გერმანიაში

— გერმანია-ნორვეგიის კონფლიქტის შესახებ გერმანიის დესპანს ნორვეგიაში უთქვამს: „ნორვეგიას დიდი ძალი კონტრაბანდა შეჰქონდა ინგლისში, ეს ჩვენი მასხარად აგდება იყო და ჩვენი პრესტიჟის აღსადგენად არაფერს არ დავერიდებითო“.

— ჩინეთიდან მონგოლეთში რამოდენიმე გერმანელი პროპაგანდისტი მოსულა; მათი მიზანია მონგოლეთის, რუსეთის მოსაზღვრე, პროვინციების მოსევა რუსეთზე.

— ფრანც იოსების დაკრძალვის შემდეგ კაიზერ ვილჰელმსა, კარლოს I და ფერდინანდ კობურგს დიდ ხანს უთათბირნიათ ცენტრალ კოალიციის საერთო პოლიტიკურ პროგრამის შესახებ.

— გერმანელებ[illegible] [illegible] ბელგლეთის ასპარეზზე დაპყრობილ ქვეყნებიდან ყველა მცხოვრებ[illegible] შიდა გერმანიაში სამუშაოდ გაიყვანონ. ამ პროექტის თანახმად ბელგიამ 300000 კაცი უნდა მისცეს; ჩრდილოეთ საფრანგეთმა კი 200000 კაცი; თუ ეს ზომა პოლონეთის წინააღმდეგაც მიიღეს, მაშინ პოლონეთიდან ნახევარი მილიონი კაცი უნდა გაიყვანონ.

— ინგლისის სუდანში (აფრიკაშია) როგორც სჩანს, ამას წინად დიდი ამბოხება მომხდარა; ამბოხება ჩაუქვრიათ და მეთაურები — ყოფილი სულთანი დარფურსი და წარჩინებულნი — დაუტყვევებიათ

— ჩინეთის მთავრობას დამსჯელი რაზმი გაუგზავნია ტონანფუნში, სადაც რამდენიმე ათასი მეამბოხე მონგოლელი ჩინეთის შუაგულისაკენ მიიწევდა. ეს აჯანყება დიდი ხანია, რაც დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ მათი ბელადი ბაბუჯანი მოკლეს, მათი რიცხვი მაინც არ შემცირებულა და ეხლა 7 ათასიან ძლიერ ჯარს წარმოადგენენ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



**რკინის გზის მიმოსვლა.**
(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).
ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ |
| ″ | — საღამ. | — 8 ს. 50 ″ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 ″ |
| ″ | — ღამის | — 2 ს. 20 ″ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს 26 ″ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 ″ |
| შორაპნიდან | დილის | — 9 ს. 24 ″ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — ″ |
| ″ | — ღამის | — 12 ს. 15 ″ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 ″ |
| ″ | — დილის | — 5 ს 55 ″ |
| ფოთისაკენ | დღისით | — 4 ს. ″ |
| ტყიბულისკენ | დილის | — 8 ს. 13 ″ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 ″ |

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ ქილაძის შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**ავათმყოფნი სუსუნატით**

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჰაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი აჩქარებს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შაქერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომარჩინა სრულიად, სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ერთგული **ია ნ. კოლეგოვი.**
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)